

№ 16 (200)


ქართული
ბიბლიოთეკა

200

ფასი 10 კპ.

კვირა, 14 აპრილი
წელიწადი მთავრდება
1929 წ.

საქართველო



მღვდელი, ბეგი, ხულიგანი
კულაკი და ბიუროკრატი...
ორკას ნოვრის ბამოსვლითა
წასულია საგმე მათი!

„ლომის“-ლომით



— შეგეწიოს ორასი ტარტაროზი!

— რაო? ორასი ანგელოზი-ო?!

— თუნდაც მასე იყვეს, ვისაც როგორ მოსწონს, ხომ გაგიგონია: „ზოგს — მღვდელი, ზოგს — ფოფოლია, ზოგს კი — მათი ქალიშვილი“-ო?!

— ჰო და, თუ ასეა, მე ისევ ქალიშვილს ვირჩევდი.

— ჩვენ კი პირველ რიგში მღვდელს, ხოლო შემდეგ — ფოფოლის ვრჩეულობით.

— რატომ?!

— ორივეს ერთი სივრცის თმა აქვს.

— მერე, თმა აგრე დიდათ გამოსადეგია?

— დიახ, — დასაბრუნებელი..

— დასაბრუნებელი? ხანა-ხანა... აი, დაგწყვეტლოს შენმა გამჩენმა ეშმაკმა!.. არა, შე ოხერო, რომ ითრევე, სად ითრევე, რას ითრევე?!

აი, ჩვენი ტრესტის მოღარემ ამ რამოდენიმე ხნის წინად ტრესტის სალაროდან 15,000 მანეთი დაითრია. ეს კიდევ მესმის, ხოლო მღვდელი და ფოფოლია კი ასეთს რა განძს წარმოადგენს, რომ იმათ დათრევაზე კაცმა ენერგია დახარჯოს?!

— ჰმ!.. შენ მომენტისა სრულიად არაფერი გესმის, როგორც სჩანს...

— როგორ თუ არ მესმის?

— ისე. აი, ამას წინად საშეფო კომისიის, სტრომა იყო, დღის წესრიგში საშეფო სოფლიდან ახლად დაბრუნებულ კომისიის საინფორმაციო მოხსენება იდგა. კომისიას ყველაფერი რიგზე ჩაეტარებინა. ასე გასინჯეთ, სათესლე ხორბალიც კი დაეროგებინა ღარიბი გლეხებისათვის.

მოხსენების შემდეგ ცოტა კამათიც კი გაიმართა, როგორც წესია. ზოგმა ეს სთქვა, ზოგმა ის სთქვა. მარტო იქით მიტანასა და ბოძებს არ უნდა დაეაჩვიოთ გლეხები, საქორაო მათი ამოქმედება და თაოსნობის ჩენას შეჩვევა.

— სრული ჭეშმარიტება.

— მაგრამ საქმე ამითაც არ დასრულვდება. ერთმა „კომსოლოგმა“ გაღმა გადავებაც კი სცადა:

— როგორ?

— ქალაქი არ წამოვიღიათ იქიდანო, — შეეკითხა.

— რა ქალაქი, რის ქალაქი — გაიოცა ყველამ.

— აი, უფარვისი ქალაქები, „მოკულატურა“, განმარტა „კომსოლოგმა“.

მოხსენების დარბაზში სიცილი გაისმა. მართლაც და ვინ მისცა სოფელს „მოკულატურა“-ო, იკითხავს გულ-უბრყველო მკითხველი. მეც ასე მეგონა. მაგრამ, ახლა რომ ვუკვირდები, ვფიქრობ... ვფიქრობ კი არა, მგონია... მგონია კი არა, დარწმუნებული ვარ, რომ „მოკულატურა“ არა თუ მთელ სოფელში, მთელ თემში,

არამედ ყოველ ქოხშიც კი მოინახება, თუ კაცი დაძვინის.

ჩვენი დაწესებულება არც იმდენად დიდი დაწესებულებაა, მაგრამ რამოდენიმე საბარგო ავტომობილი მარტო ძველი რეზოლიუციებისა „დაითრის“ იქიდან ამას წინად. დავიჯერო, რომ რომელიმე სოფლის რომელიმე ქოხში თუნდაც ერთი თანამედროვე „რეზოლიუციანი“ ქალაქი მინც არ მოიპოვებოდეს?

— ეგ კი ძნელი დასაჯერებელია. ახლა ვაზეთი რომ არ მისდის, ისეთი გლეხიც იშვიათია სოფლად და, მაშასადამე, სადაც ვაზეთი კი არის, იქ „რეზოლიუციებიც“ უსათუოდ იქნება.

— აი, თითონაც მეთანხმები.

— კი მაგრამ ყოველივე ამას რა კავშირი აქვს მღვდლისა და ფოფოლის „დათრევის“ გამართლებასთან?!

— აკი გითხარით, მომენტისა თქვენ არაფერი გესმით მეთქი?!

— როგორ?!

— როგორ და ისე. „მოკულატურას“ რომ აგროვებენ, როგორ გონივრულად, სად მიაქვთ?

— სად? თითქოს არ ვიცოდებ.

— აბა, სთქვით!..

— აი, აგრა ჰყრიან მადათოვის კუნძულის თავში, მტკვრის მეორე ტოტის ამოსასვლათ...

— ხა-ხა-ხა-ხა!.. ძალიან კი გცოდნიათ, აი!..

— მაშ?..

— მაშ და მაშარაფი!.. ეს სულ საზღვარგარეთ ვაქვთ გასასყიდათ, შარშან ჩვენმა „ვენეტორგმა“ ამისაგან 70 მილიონი მანეთი „დაითრია“ სამზღვარ გართიდან და „შემოთრია“ საბჭოთა კავშირში.

— „ვენეტორგი“ ვინ-დაა?!

— ესეც არ იცი? ვინ არის და ჩვენი საგარეო ვაჭრობა; მისი ორგანიზაცია.

— მერე და ძველი ქალაქებით ვაჭრობს იგი?

— დიახ, სხვათა შორის... ძველი ქალაქებით, ნამტვრევი ლითონებით, ეგრედ წოდებული „ლომით“ და სხვა ასეთებითაც, რისგანაც გასულ წელს 70 მილიონი შემოსავალი ჰქონია, როგორც ვითხარო, ხოლო წელს 200 მილიონამდე უნდა იმისი აყვანა.

— მერე რა შუაშია აქ მღვდელი და ფოფოლია?..

— აკი ვითხარო ყოველგვარ ძველსა და უფარვის საგნებს აგროვებენ — მეთქი...

— სსსუ!..

— რაშია საქმე?

— რაშია და არ გაგიგონონ, თორემ მღვდელი ვაქცივით და სამრეკლოებზე დაიმალებიან...

— სამრეკლოებზე კი ვერ ავლენ იმათ „დასაბრუნებელ“?!

— ჰმ!.. არა, რომელიმე ვაჭარმა დასცია „ლომისათვის“ სამრეკლოზე, როცა მას უკვე არც რკინის ჯვარი ასვია სახურავზე და არც სპილენძის ზარი ჰკვიდია?!

— მღვდელი ხომ იქნება ზედ?

— კი.

— ერთი ცალი ლურსმანი მანიც ხომ ექნება შერჩენილი ძველს ჩექმაში, როგორც „ნაშთი ძველი დიდები-თა“? იმასაც არ შეარჩენენ, გამოაძრობენ და საზღვარ გარეთ გასატან „ლომს“ შეუტრევენ...

— ფოფოლიას?

— სიხარბით ფოფოლიაც ფეხს გაიშვევს: „მეც ნახიარ ნახიარა“, აქაო და მღვდელს თუ გამოაძვრეთ, ერთი ლურსმანი სადმე მეც მომიძებნება ფეხსაცმელში, ამოიღეთ და წაიღეთო...“

— რა ზედ მიწვევით შეგისწავლია მათი ხასიათი...

— ხუთი წელია, ჩემო კარგო, ამ საქმეს ვემსახურები და რა გასაკვირია, რომ ვიცოდებ. ორასი შვილი გამოვზარდე, ორასი ჯარის კაცი და სულ ამ სამსახურში მყავდნენ ჩაბმულნი.

— როგორ? მღვდლისა და ფოფოლის სამსახურში?!

— დიახ, თითქმის ასე გამოდის! რაც მათ ღმერთმა ხელი ააღო, საბატრონოდ ხელს ისევ მე გავუწვიდი..

— კარგი სამსახური გქონია, მაგრამ მალე კი მოგიწევს შრომის ბირჟაში წასვლა.

— არ ვშიშობ! აქამდის ვი ცოტა შემხვედრია იქ მისვლა თუ?!

— აქამდის რატომ?

— როგორ თუ რატომ! წვევებს რომ იკრებდნენ და შრომის ბირჟისკენ რომ გარბოდნენ, განა მათ კი ვი მოარებდი მხედველობიდან, უკანვე არ ვედევნებოდი და ბირჟამდი არ ვაცილებდი?!

— ბირჟის შემდეგ?!

— შემდეგ იმათი კვალი ისე ვუპრეგება, რომ „ტარტაროზი“ არა, უფრო ძლიერი მხედველობის პატრონი თვალის კი ვერაფერს ამჩნევს.

— როგორ თუ ვერ ამჩნევს?!

— როგორ და ისე: ქალაქში ყოველგვარი „მოკულატურა“ თუ ძველი „ლომი“ და ნაყარ-ნუყარი ბლომით არის მიზნულ - მოზნეული ჩვენს დაწესებულებებში; ამათში ესენიც მოხერხებულად ერევიან ხოლმე. მოდი ახლა და გამოიკვანი, რომელი თმინანია და რომელი თმაშეკრევილი...

— ჰოო?!. მაშ, 200 კი არა, რატომ 400 მილიონამდის არ გადაიდებს თავის ნორმას „ვენეტორგი“?!

— ასეც უნდა მოხდეს! ნამდვილდ ლომის მად და ძალაც არის საქირო, რომ ამ „ლომს“ რამდენიმედ მაინც დასძლიო!..

ონისიმე.

სიმაართლისათვის

ცილის წაშენა

საქართველო

ზოგ სააგადმყოფებზე დასაწყისად მათთვის სთხოვენ მოიტანონ თბერაციისათვის საჭირო სპირტი.

მეფისტო.

— შენ, რა ლოთი ყოფილა! კაცო კვდება და არაყს მაინც ვერ იშორებს!

მატარებელში ჩამოვარდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სიმაართლეს გასაღები არ აქვს, რომ ქვეყანა ტყუილდება აწინებულ და სხვა ლაპარაკში ჩაერთა ლ. როზროზაძეც.

— საქმე იმაშია, რომ ყველა გავფორბივართ პირში სიმაართლის თქმას, პირს-უკან კი ყველაფერს ვლაპარაკობთ. — სთქვა როზროზაძემ.

— სხვა რომ არა იყოს რა, მომავალი თაობაც ეჩვევა ტყუილებს და ირყენება. — დაყოლა ერთ-ერთმა ქალმა, სახელად მგონი ივერიკომ, და მუხლებზე კალთა დაიფარა.

— ძველად წელიწადში მხოლოდ ერთ დღეს იტყოდა ტყუილს ხალხი, ეს დღე იყო პირველი აპრილი, ესლა კი წელიწადში — თორმეტი თვე სულ ტყუილებს ლაპარაკობს ხალხი. ძველად თუ წელიწადში მხოლოდ ერთ დღეს შეიძლებოდა ტყუილის თქმა, ნეტა ესლა წელიწადში მხოლოდ ერთი დღე იყოს, როცა შეიძლება სიმაართლის თქმა. მე სულითა და გულით ვუერთდები თქვენს აზრს, მოვიტხოვ, რომ ამ აზრის განხორციელებას ეხლავე შევუდგეთ და ამ ჩვენს საზოგადოებას ეწოდოს „სიმაართლისათვის მებრძოლთა საზოგადოება“.

— სამწუხაროა, რომ ჩვენი ერთად მოგზაურობა ასე ხანმოკლე იქნება. — ჩაილაპარაკა ივერიკომ და ლევარსის შეხედა, რომელიც გამტრებული უყურებდა მას ფეხებში.

— სიმაართლისათვის კი არ დამძრახოთ და მინდა გკითხოთ, რატომ მალავთ ფეხებს?

— მე არ ვმალავ. — როგორ არ მალავთ. მალავთ და იმასაც გეტყვით, თუ რატომ მალავთ. იმიტომ, რომ სქელი და უწნო ფეხები გაქვთ. — უთხრა ლევარსიმ ივერიკოს.

— არაფერიც!.. — აღელდა ივერიკო.

— რატომ ღელავთ? განა სირცხვილია, რომ სქელი კანები გაქვთ? სისულელეა ფეხების დამალვა. გარდა ამისა, თქვენ ისედაც სულელური გამომეტყველება გაქვთ.

— ძალიან აზავებთ, რომ მაგას ამბობთ, უზრდევო, — ივერიკომ ზი-

ზლით შეხედა როზროზაძეს, წამოხტა და მეორე კუბეში გავიდა.

— ხა... ხა... ხა... — გადინარხარა ზემო თაროზე წამოწოლილმა მასწავლებელმა, — სიმაართლდ თუ გინდა, ეს არის...

— თქვენ ისე გვცადავთ? — შეეკითხა მასწავლებელს ლევარსი.

— დიახ, ვცდილობ და ვერ დამიძინია. საერთოდ, მატარებელში ვერ ვიძინებ.

— ეგ, ალბად, ლოთობისაგან. თქვენი გამომეტყველებაც ამტკიცებს, რომ დიდი ალკოგოლისტი იქნებით.

— მოითმინეთ! — დაიბნა მასწავლებელი, — თქვენ რა ნება გაქვთ, რომ ასეთ შეურაცყოფას მაყენებთ?!

— რასაკვირველია, არ შეიძლება ასეთი შეურაცყოფის მიყენება, მით უმეტეს, რომ არ იცნობთ მას. — გამოექიმბა ისტორიკოსი.

— როგორ არ ვიცნობ, საკმარისად გავიცან ამ მატარებელში. მე ისიც ვიცი, რომ ეს პარტიოსანი მასწავლებელი ქალების დიდი მუსუსი ყოფილა და თუ არა გჯერათ, ჰკითხეთ თქვენს ცოლს.

ისტორიკოსმა მრისხანედ შეხედა თავის ცოლს, რომელიც სირცხვილისაგან აწითლებულიყო და ხმის ამოღებას ვერ ბედავდა.


— ბატონო ისტორიკოსო, — განაგრძო როზროზაძემ, — მართალია, თქვენ თქვენმა ცოლმა ამ მასწავლებელზე გაგცვალათ და გილაღობათ, მაგრამ არც თქვენ ხართ „მამა-აბრამის ბატონი“, მე თქვენ შორი-ახლოდან გიცნობთ და ვიცი, რომ თქვენ ერთ-ერთ ჩემს ნათესავ ქალს ალიმენტს აძლევთ.


— ახ! — შეჰკვივლა ისტორიკოსის ცოლმა და გულშეღონებული მიწვა.

— სისულელეა! — წამოიძახა ისტორიკოსმა და ცოლს მოსულთიერება დაუწყო.

— როდესაც ისტორიკოსის ცოლი გამობრუნდა, ივერიკომ, მასწავლებელმა, ისტორიკოსმა და ისტორიკოსის ცოლმა ერთხმად მოითხოვეს მათი გავონიდან ლევარსის გაძევება.

წყება.





ბურჰოკრი

დაბრუნებული

ანუ

იგავი უძღვებ შვილზე

(სახარება ლუკასი 15.11-32)

ამის ხაზგდებლად, რომ ბურჰუაზია სიხარულითა და სიყვარულით მიიღებს სინანულში მყოფ ცოდვილს, იქნა კრიტიკმ სთქვა იგავი უძღვებ შვილზე.

ერთ ბურჰუაზს ჰყავდა ორი შვილი. უმცროსი შვილი ტროცკი წავიდა უცხო ქვეყანას (დღევანდელ საბჭოთა კავშირში) და იქ დაიწყო ცხოვრება. იმ ქვეყანას დიდი აღმშენებლობა დაიწყო და ლაპარაკისა და გართობისათვის არავის ეცალა. დავარდა იშკიფებიდან და იძულებული გახდა თავის მამას დაბრუნებოდა. გადასწყვიტა: წავალ და მამას მოგვამაგირედ მაინც დაუდგები.

როცა ის მამამ შორიდან ე. ი. კოსტანტინოპოლიდან დაინახა, სიჩქარით მიეგება მას, გადაეხვია და კოცნა დაუწყო. მერე მამამ მოსამსახურეებს უბრძანა — საუკეთესო ტანისამოსით შეემოსათ, და ამ შემთხვევის გამო ლხინი გამართა.

ამ დროს უფროსი შვილი, სოციალ - დემოკრატი (მენ-შევიკი) მინდვრიდან დაბრუნდა. როცა მამის სახლში სიმღერა და მოღებნა გაიგონა და ლხინის მიწევიც გაიგო, — იწყინა და არ უნდოდა შინ შეხვლა.

გამოვიდა მამა მისი დასაძახებლად, მაგრამ უფროსმა შვილმა უპასუხა:

— შენ არასოდეს ისეთი დიდი ლხინი არ გავიმართია ჩემთვის, რომ მეგობრებთან მეღწინა, ხოლო მისთვის, ვინც მიგატოვა, ნასუქი ხბო დაჰკალიო!

მამამ უთხრა:

— შვილო, შენ მუდამ ჩემთან ხარ და არც მოწყალეებს გაკლებ. ჩვენ ის უნდა გვიხაროდეს, რომ ძმა შენი ისევ გაცოცხლდა, დაკარგული იყო და დაგვიბრუნდა!

ამ სიტყვების შემდეგ ძმაც ჩაეხვია ძმას და ისეთი ქვიფი გაიმართა, რომ ყველა ბურჰუაზიული გაზეთები რეკიქონის საყვირით გაჰკიოდნენ ამ ამბავს.

მანარობელი ლუკა.

„მშური დახმარება“. საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარე იონამ, კულაკების ყურმოჭრილმა მონამ, სენსი მისცა კულაკებს, რომლებსაც პატივსაც სცემს და აქებს.

იზვიითი დღე. გუშინ იყო კარგი დღი, არსადან ჰქროდა ქარი... არ დამთვრალა გიორგი აფთიაქარი; ამზად დებდა წამალს დროზე... ბოლოს დათვრა საღამოზე, — მაგრამ მაინც არა უშავს. თუ გარეცხავს წამლის შუშას აფთიაქში საქმე ხდება... სამიკიტრო მოუხდება.

ვაჭრობის მიღება. კოპერატივის განაგებს ივტინი, რომელსაც აქვს დიდი რიხი და უფრო მეტი — ნიჭი. ჰყავს მას ბევრი ძმა-ბიჭი; ეს ყოფილი ვაჭრებია (ალარ შეჩაოთ ნაჭრებია)... და ივტინის შეებრალა „ჩემთან მოდიო“ შეუთვალა და ნოჭრებად დააჯინა... ყველამ ჰპოვეთილი ბინა.

ასეთია ყოფილ ვაჭრებზე ივტინის შეფობა და კოპერატივში ყოფილ ვაჭართა შეფობა. ს. ტუგოშვილი.

ჯუშათი.

ღირსეული მემკვიდრე. კოპერატივში მასიკომ უკვე ჩაისველა ხახა — ყველაფერი „გაამისქნა“ რაც, რომ თვალთ დაინახა, რომ მოვიდა სამუელი, გაუბარდა: „სად მოველი?“. აფარუაშებს ფართოდ ხელებს. „ისე სჭამს, რომ არ ახველებს“ დოდო.

სოფ. ლეძაძემ (სენაქ. მაზრა).

მავიღობიანი დღე. ფოსტის გამეც ლდი დიხამინჯია, დიხ, დინჯია—დღეში ორი-სამი ჩხუბი ეყოფა, თუ ღვინომ არ გააცოფა. მიატოვებს ფოსტას; უბრძანებს სხვებს მოცდას და მიდის სამიკიტროში, რომ შეგება ნახოს ღვინოში.

6 მარტს დღემ მშვიდობიანად ჩაიარა — მხოლოდ ერთ კაცს სცემა, მეტს კი არა.

„უანწი“

ბორჯომი.

ნაყოფიერი მუშაობა. საკასრე ქარხნის აღმშენებელ ტრაკიამ მუშები წყურვილით კინაღამ დასწყვიტა და ამის გამო გადასწყვიტა: „მუშებისათვის ქარხანაში, რადგან ვცხოვრობთ კულტურეოლოგიის ხანაში, გავიყვანოთ წყლის ონკანი, რომ მუშებმა დაიბანონ ხელი და ტანი (არ დაურჩეთ წყალი შორიდან მოსატანი). წყალის გაყვანა მოხდეს სწრაფად და აფად — მზად იყო ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლის თავზე... შეწყდეს ამიერიდან მიტქმა-მოტქმა ამ ამბავზე“.

პიკო.

ჭუთანისი.

თავი შემოაჯამა“. პროფეიტორის ბუგალტერის პროფეიტორების ბუღა მტერს, კოლია ბაბუნაშვილსა, რომელიც მისდევდა ცხოვრებას ტყბილსა და რომელსაც უყვარდა კარგი სმა-ჭამა, — 1.500 მანეთმა თავი შემოაჯამა. ეს ფული კოლიას უცხად გადაცდა ჯერ კელში და შემდეგ მუცელში. სასწრაფოდ გამოიძახეს მილიცია (ასეთ შემთხვევაში ასე იცინან); გამოჰკითხეს მას ამბავი და გამსახლში უკრეს თავი.

ხლოპუშკა.

დიდი-ვანი (გურია).

დაგვიანება. გარდაიცვალა ს. რამიშვილის კერძო ნავაჭრო, რომელმაც გლეხებს ტყავი დიხანს აძრო. კოპერატივის განსნამ გაუხეთქა გული და მალე ამოხდა სული. გლოვობს რამიშვილი და მისი ცოლ-შვილი.


„კულტურულ ფრონტში“. დაარსდა კარტ-ნარდ კამათლის კლუბი, სადაც ხშირად იმართება ცემა-ტყემა და ჩხუბი. კლუბის ბატონ-პატრონი: სიმონ, ბიკტორ და პლატონი. ვისაც კი აქვს ფული ბევრი; ყველა არის კლუბის წევრი.

„მანცი“

წინდა ტრიკ-სამება

(თუმც მათ არ იამება)

მ. ბაკრილი. საშუაარი ხდება სატყვეო ტრესტიც მის-მისი კაბინეტში



მიხეილ ეფიმიჩ:—შოშილოცავს, ჩემო ზოსიმე!... მა-
 დლობა ღმერთს, რომ საქართველოს გასაბჭოების რვა
 და შენი ვადმოყვანოს სამი წლის თავზე, როგორც იქნა
 ფილირსა ვადმოზაყვანის ჯ'ოდოს მიღება.

ზოსიმე (რასაკვირველია, ბიბინევიშვილი შუაში):
 — ძალიან ვი მახლაფორთხს, მარა ჩემგან მამარქმს არ
 უნახავს ხერი და რა შვილი ჩვენს ტრესტს შევარჩინდი
 რამეს თუ ვი შესაძლებელია რომელიმე მხრიდან მიღგო-
 მა და ათლა. ააშენო ღმერთმა ჩვენი ადგილკომი, დაფა-
 ცურდა და მართლაც ქე არ ამოდებინა ეს საეჭვო ფული.
 საყვედური ვი გამომიცხადეს, მარა ეს არაფერია,—ფუ-
 ლი ხომ ავიღე.

სოსოს:—საყვედური მეც ვი გამომიცხადეს, მარა ავა-
 ნებებს აღება მაინც არ შემომცირებია. მაშ რისი სამნეო
 ნაწილს გამგე ვარ?!

ზოსიმე:— სწორედ ჩემთვის გაჩენილია
 ეს სატყვეო ტრესტი.
 ბევრი ვთაღე,—მაგრამ მაინც
 ვერ მომაბუნ ვესტი.

კაპა.

განსაჯონი

კაბინეტი სახლსა აშენებს, „ეპო“ თავისი შვონია
 ხალხის ქონების გაფლანგვით მუცელზე შეკრის ქონია.



(სურათზე ნაჩვენებია კალენიკეს მუცლის თანდათან-
 ნი გასუქება).

ხეთის თემის გლეხობა მწუხარებით აუწყებს სა-
 ზიადობებს, რომ უგზო-უკვლოდ დაიპარება და
 ბარბაროსებმა სახალხო სახლის ხე-ტყის მასალა.
 ცხდარი დახვრებულთა ფილიბე ბუკიას და ლევან
 გოგობს საკუთარ სახლებში.

დავალებით „მსახობი“.

ეფარის თეგი

ეწერი სწუხს — ბრახობს:
 შუქი მოვა როდის?!
 ხესო ტყავსა გვიძობს —
 წყენით ვწყველით ლოდინს.
 გადირჩა საბჭო
 გუშინწინ, თუ გუშინ!
 სამსონ ისევ „ვაქრობს“
 და შური აქვს გულში.
 გაიძახის: „ჩქარა,
 ამირჩიოთ უნდა!
 თორემ ყირამალა
 თეგი ვადბრუნდა.
 მე წარსულში ბევრი,
 გავაკეთე „რამე“!
 რომ ვთქვა ყველაფერი, —
 უნდა დღე და ღამე.
 თეგი შეკრთა ისე,
 წუთი ბიარ ახსოვს! —
 მოახსენებს მიზეზს,
 ზამთარამე სამსონს:
 ნუ გვაწუხებ ახლა,
 არ გვწამს შენი ფიცია! —
 სამსონა რაც გახლავს,
 ბავშვაც კარგად იცის...
 რაღა გავაუბრებლო,
 ნაკლი ითქვა ბევრი!
 მაინც მას ზედა ლელა —
 გახდა საბჭოს წევრი.
 და სოფელში კვენსა,
 ისმის ტკივილითა! —
 და სამსონა დღესა,
 ცვლება სიცილითა.

გაგნელი ბზიკი.


მუსიანი



მე ვარ პარმენ ღმისაქმ

ახლვანი კაცი დიდი.
 სიტყვა ვიცი წყნარი, ტკბილი,
 გული კი მაქვს მეტად ფილიდი.
 აღმასკომის თავმჯდომარედ
 დავყავ უკვე სამი წელი.
 ვქეიფობდი, ვსერირობდი
 დავახვენი მხარი, წელი.
 ყველაფერსა ვინფლებდი,
 დავფრინავდი როგორც ქორი...
 მაგრამ ბედი შეტრიალდა —
 შემომიჩადა მე მუშკორი.
 გამწვრა და გამოშწვრა...
 დევნამ ის ვერ შეაშინა.
 პანდური მკრეს, გამომაგდეს, —
 და უსაქმოდ ვგოდვარ შინა.

„ვიშპან“.



- ერთი კვირაა ყველი არ მიყილია!
- წაიღეთ რამდენიც გნებავთ, ურიგოდ იყიდება.
- სწორედ იმიტომ არ მიყილია, რომ ურიგოდ იყიდება.

ბრძოლა

ქალბატონი პროტექცია და ვაუბატონი ბიუროკრატიზმი დიდხანს სცხოვრობდნენ ერთად თანხმობით და ტკბილად. მაგრამ ეს ოხერი წუთისოფელი დიდხანს ვის გაახარებს. — ჩამოვარდა მათ შორისაც უთანხმოება. — ცხოვრება ჩვენ ხელშია — უთხრა ერთხელ ეშხით ბიუროკრატიზმმა პროტექციას, ქვეყანას, როგორც გვინდა, ისე ვათამაშებთ.

— კი მაგრამ პირველობა მაინც მე მეკუთვინის აქ ქვეყნად — ყელმოღურით უპასუხა პროტექციამ; შენ სად იყავი ჯერ მაშინ, როცა მე ბურთი და მოედანი ხელში მეჭირა. შენ მე ვაგაჩინე, ჩემი წყალობით წამოსკუპდი მეგ რბილ სავარძელზე.

მართალია, შენს პატივისცემას მე ვერ დავივიწყებ, მაგრამ მითხარი, რით გემსახურო?

— არა, შენ ამ ბოლო დროს ძალიან ყოყოობ, სცდილობ წინ გამასწრო — გააწყვეტინა სიტყვა ბიუროკრატს ვაკაპასებულმა პროტექციამ.

— დროა შევირგდეთ, გენაცვა, — მოუთხოვრს მას ბიუროკრატიზმმა. საჭიროა თანხმობა ჩვენს შორის, ხომ ხედავ, რამდენი მტრები გავიჩინდა. ეს მუშკორიო, ეს ვილაც თვითკრიტიკაო, ამ ბოლო დროს დაიბადა კიდევ რაღაც ჯანდაბა „მსუბუქი კავალერია“ და იმან ხო სულ ძალა წაიღო.

— ხა—ხა—ხა, ჩაიკისკისა პროტექციამ, მტრები? ისინი მე რას დამაკლებენ — ჯადოსნურ ქარათ, თილისმათ გადავიქცევი და ჩემ მტრებს ყველას დავიმორჩილებ, ვინ იცის, რამდენი გამგე მოგზიბლე ასე, დღეს ისინი ფეხქვეშ მეგებან..

— ხო, გამგეების გულის მოგება არ არის ძნელი, მაგრამ სხვებიც არი-

ან, მათ გარდა, მაგალითად — გამგეების გამგეები, მაგრამ არც ისინი არიან საშიში: მე მათ ისე შემიყვარეს, შემისისხლბორცეს, რომ უჩემოთ ცხოვრობაც კი ვერ წარმოუდგენიათ; მართალი ხარ, მართალი, ყოვლით შეძლებელი, საყვარელი პროტექცია, ჩვენ ხელს ვეარვინ ვგახლებს.

დუ! დუ! დუ! დუ!
— ეს რა თავზარდამცემი ხმა ისმის, — წამოიძახა ისტერიულად პროტექციამ.

— დამშვიდდი, ჩემო მშვენიერო. ეს, ალბათ, „მსუბუქი კავალერიის“ ცარიელი ვაზნებია, ჯერ ისევ ახალგაზრდები არიან, ვარჯიშობენ, სროლას სწავლობენ, — დანუგემა ბიუროკრატიზმმა პროტექციას და მაგრად გულში ჩაიკრა.

დუ! დუ! დუ! დუ! დუ! დუ! — გაისმა კვლავ ხმა.

— დამკრეს — დაიკვილა მწარეთ პროტექციამ და წაუვიდა გული.

— მეც — დაიღრიალა ბიუროკრატიზმმა. სროლა დროებით შესწყდა, დაჭრილები გონს მოვიდნენ.

— მადლობა ღმერთს — დაარღვია სამარისებური სირუმე ბიუროკრატიზმმა — კიდევ იოლად გადავრჩით, — მე ტყვიამ ცალი ყური გამიხვრიტა, შენ, ჩემო მშვენიერო?

— მე თმები შემეტრუსა მხოლოდ — წამოილაპარაკა ნაზად პროტექციამ — მაგრამ ძალიან კი შემეშინდა — სჩანს, ჩვენი მტრები შეტევაზე გადმოვიდნენ. უნდა რამე ხერხს მივმართოთ თორემ გლახა დღე დაგვადგება.

— მართალია — დაადასტურა პროტექციამ — მაგრამ რა ვქნათ?!

— გამოვიცვალოთ ბინა, სხვაგან სადმე გადავხარჯდეთ.

ჩებოვმა უთხრა დათიკოს: ბიჭო, რას მოგწონს თავიო? ხომ ხედავ, რომ ვილანდლებით ხმა დადის ჩვენზე ავიო!

ამბობენ თითქოს ჩვენ ორმა ხელში ჩავიგდეთ ბაზარი! და რაც ვაკეთეთ, გამოდგა უფარგისი და საზარი.

შენმა ტრაბახმა ამიკლო „როსროსროს“ როგორც „ისაო“! აქმეში რაც შენ არ გესმის, მიძვრები, შეჰყოფ ცხვირსაო. ინჟენირიც ხარ, კომპოზიცო, ტენენ კი, „შემღმეშიცა“; — სხვის აქმეებში ჩარევით რა გიყონ, აგერ მეიცა

შენი მიზეზით დაიწვა ქარხანა ელსადგურიცა, — მაგრამ ამისთვის ოდნავად არ გაიბერტყე ყურიცა. ხოლო დარავი, რომელიც არ იყო დამნაშავეა, გარედ უკარი თავი და დღე დააყენე შავია.

შენი სიტყვიდან გამოდის, თითქოს მე არ ვარ სპეცია და გასურს შარი რომ მომდო, თვალები დაგიციცია. საერთოდ უნდა ვითხრა, რომ ყოფილხარ მეტად თავხედი. მიტომაც არის სწორედ, რომ მეც შენს შესახებ ავმხედრდი“.

ჩებოვს მიუგო დათიკოს: „თუმცა ხარ თავზიანი, მაგრამ გახსოვდეს ჩვენ საქმეს შენ მიაყენე წიანი.

თუ ხალხში ჩვენზე ხმებია, გავრცელდა ცუდი ამბები, — ეს მიტომ ხდება, ძმობილო, წყალს რომ სულ მიაქვს დამბეზვითომ მივიძღვის შრომა შენ მაზრაზე მეტად დილია, — მაგრამ... მითხარი, რად ვარგა შენი ნაშენი ხილია?

გვზვიც არ ვარგა არაფრად, არ ვარგა ბევრი სხვა რამე, შენ მაზრის დიდი ოცნება დაამხვე, დაასამარე.

ჰო, და ასეთი ყოფილხარ, ღმერთმა გიკურთხოს კაპარდა; რად გწყინოხს მაშინ ეს ჩემი „ჩინი“ თუ მუდამ ვატარდა?!

გასლი.

— კარგი აზრია — დადასტურა პროტექციამ. თქმა და აღსრულება ერთი იყო: ორივე მეგობრები გადაბარდნენ სხვა კომისარიატში, მაგრამ აქაც არ ასევეენებს მათ „მსუბუქ კავალერიიდან“ სროლის ხმა.

ბრძოლა კვლავ გრძელდება. ვნახოთ რით გათავდება...

ქველი.

— ალოო! ალოო! — მოისმინეთ,
 ხალხო, ჩემო რადიო:
 იცოდეთ: ეს შეძახილი
 არის სამარადიო!..
 ვისაც რა უნდა, ისა სთქვას,
 და ენა ატარტაროს;
 მე კი სიამით ვაგვივი:
 ვაშა, ჟურნალ „ტარტაროს“!
 დღეს მისი იუბილეა —
 ჰხარობს ორასი ნომრით;
 (ერთ მილოცვას კი არ ვუძღვნი,
 არამედ ათასს, ტომრით!..)
 ხუმრობა არვის ეგონოს
 ორას კვირის მანძილი!
 ამ ხანში რამდენს დაუფრობო,
 უღიროს პირებსა მან ძილი?!
 ზოგი ერთხელ ჰყვიეს, — კვდება.
 მან ორასჯერ იალა!
 თავის გამარჯვების დროშა
 დღემდე მოაფრიალა!
 ჩვენი ქვეყნის მშენებლები
 წინსვლით დაატრიალა;
 და ყველა არამზადა კი
 მოსპო, გაატიალა!..
 ეს გზა ძლივით გაიარა—
 თან დაჰჭონდა სატირა;
 ბევრი გაამხიარულა —
 რა ექნათ, ბევრიც ატირა!..
 გაზეთ „მუშა“-ს პირმშო შვილი
 ჰშლიდა ბრძოლის არენას;
 და მტრებზე ამახვილებდა,
 დარტყმად, თავის მწარ ენას.
 იმას სადაც არ ელოდენ —
 სწორედ იმ ალაგს ჰკრავდა;
 ასეულ ათას მშრომელთა
 სიმხიარულეს სძრავდა.
 ის აქვეყნებდა — ვინ გვყავდა:
 მოყვარე ანუ მტერი...
 პირველათ უმღერდა, — მეორებს
 ზუგრგზე აღინა მტვერის!..
 ო, საბჭოთა იუმორი
 იმან შექმნა ქართულად.
 მიტომაც მოდის ამჟამად
 და წელში გამართულად!
 იმდენი მიღწევა აქვს, რომ
 მიეუთითო რომელზე?!
 (ორას ნომრიდან გვეხილოს—
 ორას ათას ნომერზე!..)
 ორას ათასი მკითხველით, —
 ორას ათას ტირაჟით;
 მსოფლიოზე: საბჭოეთის
 გამარჯვების რიჟრაჟით!..
 ჯანსაღი სიცილი არის
 ნაღდ შრომის საფუძველი.
 მეც მას მიტომ ვუძღვნი „ვაშა“-ს
 თანამშრომელი ძველი!..

ტარზან.



— რა დამართია, კაცო, ამ ჩვენს მიხაკოს, რომ აქ სძინავს? ალბად ძა-
 ლიან მთვრალია!
 — არა, კაცო; წუხელის მუშთაიდის კლუბში იქნებოდა და უძინარ-
 მა სახლამდი ველარ მიადწია.

№ 200

ვუღიღინებ
 ორას ნომერს
 და მის მზომელს
 წელთ ხუთეულს!
 მეძახიან რაკი წყეულს
 და მიზომვენ კოჭში ჩექმებს,
 როცა სთხზავენ ხუთწლის გეგმებს,
 ჰგონიათ, რომ მე არ მქონდა,
 გეგმა ჩემი, ხუთწლეული,
 დასაძღვევი თუ ძღეულის!..
 ხუთი წელი,
 მწარედ მწველი,
 სულ ჩანგალზე
 მეღო ხელი.
 შევდიოდი
 ყველგან დინჯათ,
 ბნელ კუნჭულთა
 გასახინჯათ!
 ვაყურებდი...
 ვჭკრებდი...:
 ვწრებდი
 სისხლის ჩქამსაც,
 ძლიერს, გულში,
 სმენის ცეცხლით
 აღზნებულში,
 რომ ხელი არ
 შეეშალა...

რომ დღემლის
 მოვლი ძალა
 მე სმენისთვის
 მონეხმარა!..
 რომ ყოვლის მს.
 მომეცა
 ამა თუ იმ
 საგნისათვის:
 ფაბრიკის თუ
 ქარხნისათვის,
 სახელოსნოს,
 სამკერავისთვის,
 საჭიროა
 რაც ამ დროსთვის
 შკოლის,
 კლუბის,
 სამკითხველოს,
 სახტამზოს თუ
 სამკინძველოს,
 სამკურნალოს,
 ბირჟის,
 ფოსტის,
 რასაც თავი
 არ აქვს მოცდის
 და მიაფრენს
 ამანათებს!
 მისთვის



მზეც კი არ ანათებს
და არც ღამით
ნათობს მთვარე
შრომობს...
დასდის ოფლი ცხარე!...
თან სწრაფია,
როგორც მაქო!
ჩის თბილისი
ანუ ბაქო?
სენაკიდან ის
ფოთიდან
გაზეთის ათრფის
ათქმის წლამდის
და მიტანას
არ რა შევლის!..
ფოთელიც მას
ელის... ელის...
და „ელსმენიც“
ამ სიტყვიდან
წარმოიშვა,
ცოც
„ქვა“ — „თქმიდან“,
თუ მას თავში
გახლის ვინმე,
თუ სიტყვა
ისე მიმე,
რომ მას კიბვის
არ სცალია,
რომ ის ერთობ
მართალია,
მარტივი და
მონაჭერი,
ტარტაროზში
მონაჭერი!..
ეს, რა ბევრი
გავაგრძელო,
მოვლენ
მთელი საქართველო:
აშერი
თუ
მხრეთი;
არ დავტოვებ
არსად ერთი
შავკომი
თუ
აღმასკომი,
მზურგეთი
თუ ბათომი,
სახუმო თუ
მჩემჩირი,
ლდიში,
არც ეგზომ მცირე,
სამტრედი,
ფოთი,
ხონი,
მარტვილი
თუ
მისი ჭყონი,
ქუთაისი,
ონი,
ღებო,
(ლრივე
წყალ-წასაღები)
შევიქნე რა
გულ-მწყრალოდ,
გადმოვთვლენ
ნაქერალაც
და დავადექ
ჭიათურას,
ხადაც კაცა


ოფლიც ცურავს
და შავს ქვაში
მზურება,
ვინც კი
კაცად იყურება!
მეც ეს მხარე
მიყვარს... მიყვარს...
მხოლოდ
მკლავს თან ერთი უიხვავც,
მილიტინებს
გულში ბრაზად:
წესტაფონს თუ
მას ვსთვლით შავრად?
თუ ღრივეს —
კული თხისა:
შავრა იგდო
ქუთაისმა!...
გური და
სამეგრელო
თუ კი თავზე
შემოევლო
ფოთს და მის
ზარბაზნებსა,
მაშ, რას ვერჩით
ამ შავრებსაც?
ქუთაისი;
წესტაფონი —
მხრეთი
არის, მგონი!
არც რაჭა
გინდ ლენჩხუმი
აქ უხმარი
აბრეშუმი!
არც გორი...
არც ახალციხე...
ბორჩალოც კი
თბილისს მივცხენ!..
და დაკუთხდა
სულ ექვს ოღქაღ
საქართველო,
ჩვენს საოხად!
და აწ ცენტრებს,
და აწ „კომებს“
თვალის ნაკლებს
შთანდომებს
ხარჯ-მარჯსა თუ
ჭვრეტის უნარს:
დაუწუნებს
დასაწუნარს
და დასძრავს
დასაძრავს,
რასაც ისმენს,
რასაც ნახავს!..
და ცხოვრების
ამ გვარ ჭვრეტით:
ზოგან — ცოცხით,
ზოგან კეთით
ზოგან კიდევ —
რკინის ჩანგლით,
წინ წავიწვეთ
მთელს ფარგლით!
დამყარდება
ინდუსტრია,
რომ მას იგრძნობს
ტყეშიც ტრია!
და ისიც წაბლს
თუ წიწიბოს,
რაც არ უნდა
გზები ჰკიბოს,
რაც არ უნდა

კბილით შექობონ
ან ემზავსოს
ფეხით კიბოს,
რა აზრიც წინ
არ იძლეოვს,
ხომ მოსტყდება
მაინც ბოლოს
და მოიტანს
დასახმარად:
ტყით — ველად
თუ
მთიდან — ხარად?!
თავს დახრიან
ჩის ფოთლებიც
და სოფლების
ამ სოფლების,
დღეს რომ სჩანან
ასე რუხვად,
თუმც ოფლი კი
დასდის უხვად,
კვლავ მისდევენ
კუდში ნიშანს,
გზიდან გზას კვლავ
ლაფი სთიშავს,
ხვალ ნახეთ
ამაისება:
„კოლხეზები“
აივება!
გადავბის
მხარე მხარეს
და კომუნას,
დამყარებს!
მაშინ ნახეთ
„ტარტაროზი“,
ეს დარავი
და მნე დროსი,
ქულს რომ ისტრის
შალდა ცაში,
უკუაგდებს
ქულს ტალახში,
შოველება
თავზე მდღეოს,
და საბჭოთა
საქართველოს
შიაძახებს:
„ვაშა“! „ვაშა“!
ტარტაროზშიც
ეთამაშა...
...ამ საქმეში
მცირე როლი,
ხუთ-წლიანი
შრომის ზოლი
რომ გაავლო
თუნდაც გრძნობით:
ზოგს მტრობით და
ზოგს მოყვრობით
გაუსინჯა
ყველას კბილი!..
მითომ ბევრი
აღრენილი
დასდევს იმას
უკან, კვალში,
და უსინჯავს
ბეწვაც თვალში!
თვით შვიქრობს, რომ
სცოდავს მცირეს,
და ატარებს
თვალში ღირებს!..



მსუბუქი კავალერია:

მოლაშქრენი მიღიან იერიოზო



— გამოსწმენა!



ქ-ნი პრობოვცინა დაიხრა გულში



ზ-ნობა ბიუროკრატმა კონტუზია განიცადა და
უფუნებოდ გჩქანდებდა



ლია ბარათი

წარმომადგენელი

რალა გავაგრძელო და გულით მწყურია რომ მეც აზვიმო სიმღერა ვსთქვა, თუ კი მზე-ღიმილა ზეცა გვახურია თუ კი სანადიმოთ მღელღარებს ზღვა. რა გასაკვირია გულიც გიღელავდეს დღეს ამ მშვიდ ცხოვრების მოწამე კაცს. თუმცა ვინ გაძრახავს. ხმალიც გიღელავდეს (შემთხვევით ელვა რომ გაეკრას ცას). და, ჰა, გაზაფხულის დღეებიც მოდიან; მზე პირმოცინარი ღიმილით გვრთავს. ორასი ნომერი რისხვა და ლოღია მტრის ზურგზე შემდგარი რო მოგავს მთას. არ ვიცი ამაზე სხვები რას იტყვიან მე შენი ქება და დიდება მსურს, მაშვრალთა გულის თქმა ვიცი შეგიტყვი ერთგულის მფარველო, ორგული გძულს. სალამი, სალამი და კიდევ სალამი საქვეყნო საქმეთა მფარველს და მცველს, ხალხს ემსახურები საქმიან კალმით, დღეს ყველა გადიდებს სიმართლის მთქმელს. მე თვითონ მინახავს რაოდენ მშრომელი გფურცლავს ვატაცებით და ღიმილს ჰგვრის. ოი რამდენია გაგინებს რომელიც, ოი რამდენია ცრემლებს რომ დგრის. ხომ იცი ბობოლა გლეხი და კულაკი საბჭოთა სოფლისათვის რომ ფიქრობს ავს, გაგინებს ზურგს უკან შეგიტყო თუ რაკი შენ მასზე ილაშქრებ და ამხელ მას. ასეთნიც ბევრია, ბორთველს რომ ატარებს (საქმით რას აკეთებს, ნეტავი რას?) ის შენთან შენია, ღვიძლ ძმასაც გადაარებს ზურგს უკან ვინ იცის გაითხრის საფლავს. აქებს ამ მთავრობას, ის სულით და გულით ნამდვილათ კი არის სულ სხვა აზრის, ის სულით წმინდაა, საქმით კი ბინძური. საბჭოთა აპარატს მტრად რომ აზის. ხომ არის შემთხვევა რომ „ბოზი ხმიანი“ ძვლის სათვალეებიდან გიბღვერის შენ, ოი სკამზე მგდომარე, (არა საქმიანი). ემჩნევა ფლიდობა დიდების მჩენს. ბიუროკრატია იგი ღორ-მუცელა და ამ მოქალაქეს ეტყვიან სპეცს, გეტყვის: „მოდი ზვალე, დღეს არა მცალია“ საქმისთვის მოსული იწყველი ბედს. ენით გადმოცემა ყველაფრის ძნელია რადგან ჩვენ რიგებში მრავალი გვყავს, იცი, რომ ამკარათ ობივატელი მშრომელ ელემენტათ კი ასალებს თავს. მსჯელობს კომუნისტურ აღმშენებლობაზე (ისე გარეგნულათ საქმის კაცს ჰგავს), და ეს ენამჭევრი ტყბილათ მობაასე რა იცი, რომ გულში არ ფიქრობს სხვას?! მრავალი ვიცი მე, დადის გულმოკლული


ფიქრობს ქვეყნისთვის ბოროტს და მეს, (ლიონიქა მე გამიგონია, ისე.. ყურმოკრულათ) მას თანამოაზრეც მრავალი ყავს. ეს კაცი საბჭოთა მოსამსახურეა ჩვენ იმას ვენდობით და გულით ვძმობთ მაგრამ მას რომ სულ სხვა ქული ახურია ჰო! ამას რატომღაც ფიქრობთ და გრძნობთ. ჩარლსტონი აცვია და ჯგებრიც უხდება (ვერ გეტყვით ეს კაცი თუ რატომ მძულს) საქმე რომ გაფუტდეს თუმცა შეწუხდება, გულში კი უსაზღვრო გრძნობს სინარულს. ვხედავ, დიდებულათ ჰხურავს და აცვია (ნილაბოსანის თუ ასრულებს როლს!) ვუტყერ და მაკვირვებს, თუმც ჩემებრ კაცია სად არის მასში, რომ ვერ ვხედავ ტოლს?! სხვაც ბევრი მინახავს შემყურე ლოდინის სულ დაღვრემილია დადის თუ სდვას, საბრალოს ცხვირბირი ისე ჩამოსტირის, რომ შუა შემოდგომის უქმურ დღესა ჰგავს. კაცში რომ დუმილი და გარინდება, გზაც მისი ცხოვრების სხვა არის, სხვა, ეს ხომ ანბანური ქეშმარიტებაა რომ დღეს ბრძოლაშია შეველა და სხნა. ამხილე — ამჟღავნე, არ ინდო არავინ, რომელიც მშრომელთა საქმეებს ვნებს! (უფრო საშვიია ძალი შეშარავი, რომელიც არც ღმუის და არცა ჰყვეს.). ორასი ნომერი — რისხვა და ლოღია მტრის ზურგზე შემდგარი რო მოგავს მთას, წყება დარაზმული მუშკოროთა მოდიან, მახვილ კალმოსნები გიხრიან თავს. იდიდოს ეგ შენი საქმე და ტირაჟი, უფრო აგემალლოს სიტყვა და ხმა, რომ ორი ნომერი გვენახოს კვირაში მეტი რა გისურვო, მეტი რა ვსთქვა? შემირცხვეს კალამი, რომ მეც არ ვსთქვა შენებრ სიტყვა გაბედული, მრავალი სხვა... ქვეყანა ჩვენია, ვაკეთებთ, ვაშენებთ, ჩვენია ეს მიწა, ჩვენია ეს ზღვა! მაგრამ, თუ კი ჩუმი მტრები გვახვევიან სოროდან ბოროტად რომ იშვერს თითს, მზეს გაურღვეველი კლდე გაურღვევია სიბნელეც ხომ ამ მზის წინაშე თრთის. მზე მუშა და გლეხის რომ არის ზიარი — დღეს ერთი ჩაქუჩს ჰფლობს, მეორე ცელს, ესლა ჩვენი ქვეყანაც იგივე მზე არი და ასე თანდათან ვიმაგრებთ წელს. რა გვავალდებულებს ვიდგეთ ფერმიხდილი, და გულ-მგლოვიარეთ შევეყუროთ ცას, დღეს ჩვენი სიცოცხლე და ჩვენი სიკვდილი რევოლიუციონურია — ჩვენ ის გვწამს.

მ. ვოგაშვილი.

ყოჩაღ კომუნისტებო

ყოჩაღ კომუნისტებო, მე და ჩემმა ღმერთმა! არასფელი რომაა მათ არ გამოეპარებათ, არასფელი მათ უყურადღებოთ არ დარჩებათ! მარჯვე ხალხია, ჩემი ეფროსინე ნუ მომიკვდება! თელათ ყრუ უნდა იყო კაცი, თვალეზზე შვიდი წყება აქვები უნდა გქონდეს აფარებულნი, რომე მათი მუშაობა ვერ დინახოს! ხეობობ, ბიძია, რეებს ჩადიან! არც ერთი უბრალო საქმე არ ჩეიარს ყუამპანიოთ. ყოჩაღელზე კამპანიას ჩაატარებენ, მარა რაფერ არ იტყვი თელათ გადააქრელებენ გაზეთებს და ერთ ვაიუშველე-ბელს ასტენენ, ყორისფელ კამპანიას ვიფიქრებდი, მარა თუ გლეხების კამპანიას ჩაატარებდენ და ჩეენ ხენა-თესვაზე ამდენს ილაპარაკებდენ და ამხელა ყურადღებას მისცევენ, ავი კი არ მეგონა სწორეთ! სად იყო ოწინ ავი

ამბავი! ვინ გიყურებდა შენ: ცოტას დასთესდი, ბევრს დათესდი, კვი თესლს იხმარდი, თუ გლახას. ჩირახული უნდა მოგეწია და მიგერთობა სხვისთვის. ავი იყო შენი საქმე. სხვას არაფერს არ გკითხავდა არავინ! ოწინ მიწა ჩვენ არ გქონდა საყოფი და რაცხა გქონდა. მისი მორებაც არ ვიცოდით, მიდღემში გაჭირვებაში და ვაიუშველ-ლებელში ვიყავით! ახლა, ბიძია ააშენა ღმერთმა კომუნისტების ოჯახი, მიწები ქე დაგვირიგის, მაშინები და ათასნაირი ხელსაწყო ხენა-თესვისათვის. თესლია და საუ-საუკეთესოს გვაძლევენ. ვითესავთ ამ ახალ პლანზე და მისთანა სარჩო მოგვდის, რომე მტერს თვალეგი ეფსება შურით! იცოცხლე მე არ დამიტიებია ტკაველი ადგილი



დასუფთავი. წარეკებაზედაც ვი შივთავსე სიმინდი. ჩას ამბობ, ბიძია, ვინ არ ღატესას ასეთ პირობებში. გაი, ჩემო დღეო, უწინ მქონოდა ასეთი ხელისწყობა და ვინ უსინდისო ინა-ღლებდა რამეს! მარტვა ის რათ ღირს, რომე საგაზეთო შევიქენით ხალხი. ყოველ დღე ჩვენს ხენა-თესკაზე ლაპა ლაკობს გაზეთი!

მაკვირვებს ამ კომუნისტების ამბავი ჩემი ეფროსინე ნუ მომიკვდება! სიდან ისწავლეს ასტი ყორიფელი! ეს ცოციალისტობა თუ ვინდა მათი მოგონილია, მარა ეს ხენა-თესვა ვინ ასწავლათ ასტი, რომე თელათ დაგვასახ-ლეს ხალხი! იცოცხლე მე ივინს დარიგებით და ხელის შე-წყობით სარჩო მევიწიე! ფულსაც ქე შევავლე ხელი და ცოლშვილიც ქე შევმოსვე. უბედური ჩემი ეფროსინე თე-ლათ გამოდანილალეული რომ იყო სიმშლისაგან, ძლივს ამეივსო ფერდები საწყალმა! ისტეა ახლა გაზიზინებულო, რომე საცხა უნდა უპყინო იქინე გასკდება კანი შემფ-ვარი გოჭივით! შინც და რავე გალაბანდა, რავე დეიწმინ-და უბედური! თელათ გასანსალეულია ქალი! გაი, ჩემო დღეო, თურმე სისუქნეს ცოდნია ავი სილაბაზე, თვარა წი-ნით ქე რომ იყო ფარგასავით გაბტყელებული. ზედ არ შეხედავდა კაცი! თუმცა, ლვთის წინაშე, ისტიველ ისტ გაფშოკებული რომ ყოფილიყო ქე ჯობდა. თელი წელი-წალი რომ მიმეტოვებია მარტვა, ერთი ბეწვა ექვი არ გეიარდა ჩემ თავში. ანდა ვინ შეხედავდა ზედ!.. ისტე იყო სიმშლისაგან მიდანილალეული, რომე ერთ ნაბიჯს, რომ წინ წაადგავდა, ორი ნაბიჯით უკან ექანებოდა უბედური! ეხლა საცხა წავალ, ჩემთან ვარონიებ. იმას მარტვა რავე დაეტოვებ აწი უკაცრავად არ გეყო და ახლა ჩემს ეფრო-სინეზე ხემწიფის შვილიც კი შეცდება, ისტი პრაწავს იმ გიმერივით თვალებს! ვი, მათ პატრონს უბედურს, ზოგი-ერთი ჩემი მეზობლები რომ არიან ძველი იჯახის ხალხი და არასფელი ივენის თავში არ შედის! ვიუბნები: ე, კა ცო, ახალ პლანზე მეიყვანეთ ჭირნახული. დოუჯერეთ კომუნისტებსქვა, მარა გერა გავაგები რა! მერე და რისი პატრონი ჯიუტობენ, სწორეთ გასაკვირალია!

შინებურად მოყვანილი სარჩო შემოდგომაზე არ უფ-ფათ კილო კაია! დადიან თელი წელიწადი და სისხლო-ბენ! ივენის ვირთხები სულ კედელ-კედელ დიარქმისა-სიმშლისაგან! გუშინდამ გადავედი ჩემ მეზობელ პრამონა ჯიუტაქესთან და ჩამოუგდე ლაპარაკი ამ თესვის კამბა-ნიაზე. რაცხა ეშმაკალ თეთროფოლაქებთან ბლოზი ჩევიც-ვი, მარა მისთანა შენს მტერს, მე იქანა დღეი დამადგა! რომ მომცვინდნენ ავი პრამონას გოჭ-ქათმიები, მინუთში დამადლონივენ ფოლაქები! თურმე უბედურებს სიმინდი ჰგონებოთ ეს ჩემი ფოლაქები და რაღმე გამწიწენენ კა-ცი! კილო კაი, რომე მარჯვეთ იყო პრამონა, თვარა კილამ დამხიენ ღორებმა! ახლა, ასტი რომ არ ჯიუტობდეს უბე-დური პრამონა, რავე ჩემზე ნაკლებათ მიეწიეს სარჩოს თუ! მე შენ გითხრა არ შეუძლია მუშაობა, მარა აყოლი-ლია ვინცხა ძველი რეჯიმის ხალხს და ფუფუნს ძველე-ბურად მიწას საცოდავი და მიდღემი გატყაულია! ბიჭო, კაცმა შენი ავი და კაი, რავე ვერ უნდა გეივო! ჩემა მტერმა თქვა, რომე კაცმა მტერი და მოყვარი გერ გაარ-ჩიოს! მისთვის ელაპარაკებთან, ხელს უწყობენ, ეუბნებთან ახალ პლანზე დათესეო, რომ სარჩო ბევრი მოიწიოვო, მა-რა ყურსაც არ აპარტყუნებს! მე, ჩემი, საქმი ჩალხივითა მაქვს მოწყობილი. რავარც კი დეიწყებენ გაზეთში წერას თესვის კამბანიაზე თვარა და მეც შოუღებო მუშაობა. ერთ გოჯა მიწას არ გტოვებ დოუხნავს. ააშენათ ღმერთმა კომუნისტები, ისტი მიწყობენ ხელს, რომე სიმინდი ბევრი მომიდის, ლობიო და კვანი. რაღა ღმერთმა კი ინება და მოვეწვარი ჩემი ეფროსინეს გასუქებას, აწი რავე გავაჩე-რებ ტყვილა. გეივადებ წინ ყანაში და გთესავთ და ვთე-სავთ მოო ჩემი ეფროსინე ამ ახალ პლანზე. მაღადეც კო-მუნისტებო, თქვენე გასუქებულოა ჩემი ეფროსინე, მარა მეგორში რომ მეიწივით სარჩოს და შემოუჯედებით შტოლოს მე და ჩემი ეფროსინე, პირველ სადღეგრძელოს თქვენსას დაგლევ თუ ბიჭი გყოფილგარ...

გოგია.

ველის-ცისე

მიომხილვა

აღმშენებლობის მიდის აქ ხანა, თემის მესაქეც გამოცდილია, — მაგრამ მე მაინც მინდა ამხანად, რომ დეფექტებსაც გავკრა კბილია. შესხმითი ხობტა აქ მესხის სწირად: „ალაზნის არხი, ელვის ბრჭყვიალი“. ოქროს სიტყვები არ ჯდება ძვირად და ირდილებდა ნაკლი მრავალი.

ოთხწლიან შრომის სკოლის კედელ დაწვრთვას ლამობს დიდ იხანია. მიჭირან დღენი, მიდიან წლები. თავი კი არვის შეუფხანია! კიბე, ბალკონი მას აქვს დამბალი, ბავშვები შიშით ზედ ძლივს დადიან. უშოვეთ სკოლას ბინა ახალი, თუ შეკეთება არა გწადიათ. ერთმანეთს ეკვრის, ვთ მიჯნურები, აქ სომხის სკოლა და ეკლესია. ლოცვა-ცდუნებას ბავშვის ყურები, რომ არ ისმენდეს უკეთესია.

საბავშვო ბაღი? ზო... მაგრამ კარა, არ მსურს დავაფრთხო მისი გვრიტები, ქუჩაში გესმის აქ წარა-მარა შეთხზულ კორების მარგალიტები! აქ ბილიარდზე ფანტავენ ფულებს, ზომებს არ იღებს ალბად „ზავკლუბი“. ჯერ წააგებენ ჩერფონცებს. თუმნებს და მერე მოსდით დავა და ჩხუბი.

მშოს არ მოაქვს ყარჩა-ფართალი, ტკბილეულობას ყოველ დღე ზიდავს, და უნდა ითქვას სიტყვა მართალი, რომ ასეთები გლენს არ იზიდავს! აქ არის მხოლოდ „სემიჩკა“ ბლომად და კარტოფილი ყინვით დამკრალი. ბევრია ჩვენში „ურწმუნო თომა“ — სჩანს, რომ მიუძღვის ვილაცას ბრალი

მ) შმცა წითელი არის სახელოდ აქ სახადილო ლაზათიანი, — მაგრამ სჯობია თქმა და გამხელა. რაშიაც არის იგი გვანი. ვთქვათ, რომ მოგშივდა, ვინდა სადილო და სახადილოს ყნოსვით დაეძებ. უნდა შეხვიდე შიგ ადრე დილით, იქნებ საღამოს ეღირსო კერძებს! აყალ-მაყალი ერთობ სწირია, მიწვე-მოწვევაც იქ მსახურთ შორის!.. (ბაზარს კლოზეტი ფეიქრობ სჭირია, უნდა აღვნიშნო ეს სხვათა შორის).

ბანკის სახურავს დღეს აქ ამშვენებს გარდაცვლილ კატის განჩწნილი ლეში. ალბად მისდევენ წარმართულ წესებს და არ მარხვენ ლეშს სამარგში!.. ამ მიომხილვას ამით ვათავებ, ვნახოთ რას გვეტყვის ჩვენ მომავალი! ტარკორი ფაქტებს ხელს არ აფარებს, გამჭირანია იმისი თვალი.

ლანდელი

კომუნისტი

დიდი პოლიტიკური გაზეთი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის დასრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
===== ორგანო =====

ხელის მოწერის პირობები

დამატების გარეშე გაზეთი ეღირება

გოზა - მოსამსახურეთათვის, გლეხების. წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 ზ. — კ.
2 " "	2 ზ. — „
3 " "	2 „ 90 „
4 " "	3 „ 85 „
5 " "	4 „ 80 „
6 " "	5 „ 75 „

დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით	1 ზ. 30 კ.
2 " "	2 „ 60 „
3 " "	3 „ 80 „
4 " "	5 „ „
5 " "	6 „ 25 „
6 " "	7 „ 55 „
7 " "	8 „ 80 „
8 " "	10 „ „

ხელის მოწერა მიღება

- ძუთარში — „კომუნისტი“-ს განყოფილება.
- ოფოტოგრაფი — კონტრაგენტ ინჟინერებთან
- ახალხმანაში — კონტრაგენტ ესებუასთან
- სამტრედიანში — კონტრაგენტ გოგელიასთან
- ბიათურაში — კონტრაგენტ ჯვალაღანისთან
- ხშირბაში — კონტრაგენტ ცხომელიძესთან
- შორაპანში — ჯვალაღანისთან
- გორში — კონტრაგენტ შაიხურაძესთან
- გურჯაანში — წინგნის შალაზიაში.
- სიღნაღში — კონტრაგენტ შიგინაშვიტთან
- აბაშაში — კონტრაგენტ შიქაძესთან
- ლანჩხუთში — კონტრაგენტ ლლონტთან

- ზორჯომ-ნაღში — კონტრაგენტ კობახიძესთან
- ზორჯომში — კონტრაგენტ კობახიძესთან
- ფოთში — ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში
- სონში — კონტრაგენტ გენძეხაძესთან
- თელავში — კონტრაგენტ რევაზოვთან
- ცხინვალში — კონტრაგენტ იაჩალოვთან
- ბათუმში — ფ/ტ კანტორაში
- ხაშურში — კონტრაგენტ ლორთქიფანიძესთან
- ბაღდადში — კონტრაგენტ აბულაძესთან
- ოწმში — კონტრაგენტ ბერიშვილთან
- მკვებალში — კონტრაგენტ შიქაძესთან

გაზეთი „კომუნისტი“-ს გამოცემა მოუწყობის მთავარი განყოფილება
თბილისი, რუსთაველის პრ. № 34,



საქართველოს სახკინმრეწვის ახალი ნაწარმოები 1929-30 წლის სეზონი

„ახალგაზრდობა იმარჯვებს“ კინო-მთხრობა

სცენარი: გ. მდივანის
 რეჟისორი—გ. შკლოვსკის თემის მიხედვით
 თეატრი—მ. გელაშვილი
 ნაჩვენები იქნება 16 აპრილ.
 კინოებში: პალასი, სოლემი, პარკინგო და ბანთიანობა

„მალარიკა“

სცენარი—მ. მდივანის
 რეჟისორი—ლ. ვაჟა-ფშაველას
 თეატრი—ზაბოტინის

„საბა“

თანამედროვე ფსიქოლოგიური დრამა

სცენარი—არაგვის და ალბა-ზიშვილის
 რეჟისორი—მ. კიაურელი
 თეატრი—მ. პოლიკავიანი
 მხატვრები—კახაბაძე და ვა-ლიაშვილი

„თეთრი მხელარი“
 მხატვრული სუბტიმი

სცენარი—მივანის და გოდუნიანის
 რეჟის.—მივანი თეატრი.—ს. ზაბოტინის
 მხატვარი—ფედორი

„ჩქარი № 2“

სცენარი—მ. ხუციანთის და მარკოვის
 რეჟისორი—გ. მაკაროვი
 თეატრი—გ. ენგელის
 მხატვარი—ფედორი

გ რ ი თ ს ო ვ ე თ

მუშაკორი „ზაკტორ“-ს და „კოეც“-ის უმაღლესი ხარისხის საქართველოს მემენახეობის კოორპორატიული ნაწარმოები

„საქართველოს ღვინო“-ს

ღ ვ ი ნ ო — კახური, იმერული და „ხვანჭკარა“
 ა რ ა შ ი,
 კ ო ო რ ი ა ქ ი.

ლიქიორები.
 „საქართველოს ღვინო“ აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა მემენახე-მღვინეთა კოორპორატიულ ორგანიზაციებს. 5. 400

იციით თუ არა თქვენ როგორ უნდა დაიზღვიოთ თავი

საქართველოს სახალხო ღვინო

დაუღვინა ეხლა სწარმოებს უფრო გამარტივებული წესით. შეიძლება თავის დაზღვევა ათას მანეთში ექიმის შეუშინებლათ. ამის გარდა სახალხო ღვინო აზღვევს მოგზაურებს ყოველგვარი სახის მოგზაურობის დროს მოსალოდნელ უბედურებისაგან. გადასახადი 50 კაპეიკი თვეში, თუ თავს დაიზღვევ 1.000 მანეთში.

ტფილისი საქართველოს სახალხო ღვინო ალმასკოვის ქ. № 8. ტელეფონი 8-98.

აქციონერული საზოგადოება „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ჩ ა ი“

თავის ამოყენათ ისახავს ჩაის კულტურისა და მკანველოვნის გან-
ვითარების სპეციალურ პროგრამის გადარწმუნებას ფართო მასშტაბით.

==== ჩაის ძირითადი რაიონებია: =====

გურია, აჭარისტანი, სამეგრელო და აფხაზეთი.

==== აქციონერულ საზოგადოებას აქვს: =====

- ა) საბჭოთა მეურნეობები: ჩაქვში და ბათომ-სალიბაურში.
 - ბ) ჩაის ფაბრიკები: ჩაქვში, ბათომ-სალიბაურში, ოზურგეთში, მიქელ-გაბრიელში, აცანაში და ბობოქვათაში.
 - გ) საცდელი სადგურები: ცენტრალური საცდელი სადგური ოზურგეთში, გამყოფილებები—ჩაქვაში და ოზურგეთში.
- განზრახულია ახალი საბჭოთა მეთოდებისა და კულმეურნეობათა დაარსება.

აქც. საზ. „საქართველოს ჩაის“ გამგეობა იმყოფება ქ. ტფილისში, რუსთაველის ქროსპ. № 25; ტელეფონი—10—46.

დაჯილდოებულია ყველა გამომგებმა

საქართველოში მიწადმოქმადების სახალხო კომისარიატის სახ. მამულების ტრესტი

მონიტორვეთ ყველგან

სახალხო მამულთა ტრესტის ევროპიული ტიპის ღვინოები:
„ნაფარეული“, „თელიანი“, „მუკუზანი“, „წინანდალი“. იაფი სუფრის ღვინოები:
კახური № 1, კახური № 2, იმერული, ბარზაკის ტიპის ნატურალური თეთრი მო-
ტკბილო ორიგინალური ღვინო „ფერსათი“ № 12.

კველი ნატურალური კონიაკები:

საუკეთესო ლიქიორები და შამპანიური. უმაღლესად დაწმენდილი პურის და ქაქის
ა რ ა უ ი.

კოოპერატიულ და სახელმწიფო დაწესებულებებს ეძლევათ პრესკურანტის
ფასებიდან 15 პროც. დაკლებით

მთავარი სარდაფი: პეტრიაშვილის ქ. № 1.

მ ა ღ ა ზ ი ე ბ ი: № 1. რუსთაველის გამზირი № 34. № 2. ლენინის ქ. № 30.
№ 3. რიყე ყოფ. ხითაროვის ქარვასლა, № 4. პუშკინის ქ. ყოფ. თამამშვეის ქარვასლა.

საბითუმო შეკვეთებისათვის უნდა მიმართოთ ტრესტის სამმართველოში
ლუნაჩარსკის ქ. № 2.—ტელმენი 22-85.

დაჯილდოებულია ყველა გამომგებმა

დაჯილდოებულია ყველა გამომგებმა

მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ო!

თქვენი ჯანმრთელობის ინსტრუქსი მოითხოვს, რომ სვით მხოლოდ **მ. ლალიძის** საუკეთესო, ხელოვნურად მომზადებული

სილეთულ-მადნეული და სამკურნალო წყლები,

რომლებიც მომზადებულია უმაღლესი, ნამდვილი, რჩეული სილეთულობის წვენიხაგან, ნადული წყლით უაღრესათ გაუმჯობესებულ აპარატებზე.

უკვე დაიწყო სიცხე, დგება გული და ალი, რა გეშველება თუ კი არ სვით ლალიძის წყალი?

ფირმა პასუხისმგებელია მხოლოდ იმ წყლის ღირსებაში, რომელიც შექმნილი იქნება პირდაპირ ქარხნიდან, ან მისი საქუთარი განყოფილებიდან.
რუსთაველის პროსპექტი № 18. 5. 396

საბჭოთა საქართველოს მთავარი საკურორტო სამმართველო

1929 წლის სეზონი

ზორჯოში—სეზონი 15/VI—1/X. მოწყობილი სანატორიუმი და პანსიონატი. ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტი. პოლიკლინიკა. ნახშირმჟავა ვანები. ნახშირმჟავა ტუტოვანი რადიოაქტიური სამკურნალო წყაროები. ავადმყოფობის ჩვენიება: გულის, კუჭ-ნაწლავების, თირკმლების, ღვიძლის, ნივთიერებათა ცილისა და სისხლნაკლებობის.

აბასთუმანი—სეზონი 15/VI—15/XI მოწყობილი სანატორიუმები და პანსიონატები. ფიზიო-პათარა ცემი—სეზონი 15/VI—15/IX ტერაპევტიული ინსტიტუტი. პოლიკლინიკა. ლაბორატორია.

ვაღვეში—სეზონი 15/VI—15/IX რენტგენი. პანსიონატი კვებითა და ექიმობით და სოლიარიუმი. ჩვენიება: ფილტვების ტუბერკულიოზი, ჯირკვლებისა და სხვების ქრონიკული ციება და ყოველგვარი სისხლნაკლებობა.

წყალტუბო—I—V—XI რადიოაქტიური სამკურნალო წყაროები. პოლიკლინიკა. ვანები საერთო და ცალცალკე.

ახტალა—15/VI—1/X სამკურნალო ტალახები. სამკურნალო ვანები საერთო და ცალცალკე. ჩვენიება: სახსრების, ნერვების და ლიმფატიური ჯირკვლების ქრონიკული ანთება; ქალური ავადმყოფობა და კანის ავადმყოფობა.

შაგშოვი—სეზონი 1/VII—1/X მოწყობილია პანსიონატი. სამკურნალო წყაროები რკინის წყლები, ტუტოვანი და რადიოაქტიური.

ადგილების მისაღებათ და ყოველგვარი ცნობების გასაგებათ მიმართეთ: ტფილისი, მთავარი საკურორტო სამმართველო. მისამართ დეპეშით: „საქსაპუბიპრო“.



— სწორედ გ'თნათ, ანატოლი მესხის! მიიხრეს: „წადი, უფარგისი ქაღალდები შეაგროვე“, — აქ კი სულ რე-
პროდუქციებია!

ესაა ანატოლი მესხის მიერ დაწერილი წიგნი „წადი, უფარგისი ქაღალდები შეაგროვე“.